


კალაბრიაში 55-ე კავშირის, ვერტიკალი



საპარტიკო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 სექტემბერი, კვირა, 1987 წ. № 177 (9588) • ზანი 8 კაბ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

სპორტული კვირული მხარეთმცოდნეობითი მუშაობის კვლევა დაზარალებული

მეორე წლის პირველ პარტიაში მათთვის ექსპერიმენტი ნონა გა...
მეტოქენი გრაფიკული და...
საერთაშორისო დი...
სტატის ირინა ლევიტინა.

cd la5 + 11. ლd2 ლ:d2+ 12. კ:d2
b6 13. 0-0 jh7 14. d5 კა6 15. კ:ა6
მ:ა6 16. კე3 f5 17. e5 f4 18. კ:1
კად8 19. ეd1 მ:7 20. d6 ed 21.
ed ეf5 22. კ:f4 მd5 23. კდ5 ე:d6
24. ეbc1 ეd7 25. ეc8+ ეf8 26. ეc2
ეf7 27. ეcd2 მf6 28. მე5 ე:d2 29.
ე:d2 მე4 30. მ:f7 მ:d2 31. მd6 კე5
32. მე8 მე4 33. კე3 მე3 34. მ:ა7
მ:ა2 35. კ:ბ6 მე3 36. მე6 კd6 37.
გ3 მე4 38. მეგ2 მე5 39. მd4 მეფ7
40. f4 მე6 41. მh3 h5 42. h4 მე7
43. მეფ3 მf5 44. კf2 ე:7 45. მეე4
მეე6 46. მე1 მd6+ 47. მეფ3 კf6
48. მე2 მf5 49; მეე4.
კ:აიბი.

ამოკავდა. 3-3 ტურის შემდეგ
ნონა გაფრინდაშვილსა და ირინა
ლევიტინას 2-2 ქულა აქვთ, ჩეხო-
სლოვაკიელ დიდოსტატ ელიშკა კლი-
მევის კი ჯერ არაფერია გამოუჩენია
თავი, მას კვლავ 0 ქულა აქვს.
გუშინ მატჩ-ტურნირის მონაწი-
ლეებს გადაღებული პარტიები უნ-
და დაემატებინათ, მაგრამ ვინა-
იდან დღემდე გათამაშებულ ოთ-
ხივე პარტიაში მეტოქენი „დროში
ჩატიენ“, ამიტომ გუშინ მათ და-
სვენეს. ლეს, მეორე წლის მეო-
რე ტურში ერთმანეთს სხედებიან
ირინა ლევიტინა (თეთრებით) და
ელიშკა კლიშკოვა.

ამოკავდა. 3-3 ტურის შემდეგ
ნონა გაფრინდაშვილსა და ირინა
ლევიტინას 2-2 ქულა აქვთ, ჩეხო-
სლოვაკიელ დიდოსტატ ელიშკა კლი-
მევის კი ჯერ არაფერია გამოუჩენია
თავი, მას კვლავ 0 ქულა აქვს.
გუშინ მატჩ-ტურნირის მონაწი-
ლეებს გადაღებული პარტიები უნ-
და დაემატებინათ, მაგრამ ვინა-
იდან დღემდე გათამაშებულ ოთ-
ხივე პარტიაში მეტოქენი „დროში
ჩატიენ“, ამიტომ გუშინ მათ და-
სვენეს. ლეს, მეორე წლის მეო-
რე ტურში ერთმანეთს სხედებიან
ირინა ლევიტინა (თეთრებით) და
ელიშკა კლიშკოვა.


6. გაფრინდაშვილი —
ი. ლევიტინა
გრაფიკული დაცვა:
1. d4 მf6 2. c4 გნ 3. მე3 d5 4.
cd მ:d5 5. e4 მ:ც6 6. bc კე7 7.
მf3 e5 8. ეb1 0-0 9. კე2 cd 10.

თამარ ხუბაშვილი,
საერთაშორისო ოსტატი.






გორი II ლიგის ფინალური
მატჩი კვლავ დაიარაღა
ფანსები. ამ აღმავლობითაა
ფაბრის მოთავე იყო ტაიგულა-
ლი ფინალური. იხ. მ-8 გვ.

გაზონი თბილისში, საიდან ქუ-
ნაზე მდებარე საცურაო აუზში და-
იწყო წყალბურთელთა რესპუბლი-
კური ჩემპიონატის გადამწყვეტი.
III ტურის მატჩები. I-IV ადგი-
ლებსთვის იბრძვიან თბილისის უნი-
ვერსიტეტის I, საქართველოს პო-
ლიტექნიკური ინსტიტუტის, რუს-
თავის „ქიმიკოსისა“ და სოხუმის
„დინამოს“ გუნდები. V-VIII ად-
გილებისთვის მებრძოლთა შორის
არაინ ბათუმის „დინამოს“, რუს-
თავის „ფოლადის“, თბილისის უნი-
ვერსიტეტის მეორე და საქართვე-
ლოს ჰაბუკთა ნაკრები გუნდები.
ეს შეჯიბრება დიდ ინტერესს
წვევს, რადგან ასპარეზობაში თბი-
ლისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურ-
თელთა გუნდის წევრები სხვა-
დასხვა კალაბრიაში სხედეს იცა-
ვენ.
გუშინ „ფოლადმა“ დაამარცხა



ბათუმის „დინამო“ (16:7), უნი-
ვერსიტეტის მეორე გუნდმა — ჰა-
ბუკთა ნაკრები (11:10), უნივერსი-
ტეტის პირველმა გუნდმა — სო-



როგორც უკვე ვიუწყებოდით,
ჩვენს რესპუბლიკაში 8 სექტემბერს
დაიწყო სპორტული თამაშების კვი-
რული. ბევრგან ამ ღონისძიებაში
მთელი კოლექტივები ჩაებნენ, ჯა-
ნმრთელობისა და მხნეობის სტარ-
ტებზე გამოვიდნენ სხვადასხვა ასა-
კისა და პროფესიის ადამიანები.
კვირულის დამაგვირგვინებელი
ღონისძიებები დღეს გაიმართება.
თითოეულ თქვენგანს შეუძლია ოჯა-
ხის წევრებთან ან მეგობრებთან
ერთად მიაშუროს სპორტულ ბაჭე-
ბსა თუ კულტურისა და დახვეწე-
ბის პარკებს. დღეს ხომ კვირაა —
გამოდით, იმობრავით, ითამაშეთ...

პროვინსი ჩემპიონები

კალათ-
ბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონა-
ტმა ხერხიდან ამ ქალაქში გა-
დმოინაცვლა. გაიმართა ნახევარ-
ფინალური შეხვედრები.
თუგოსლავიის ნაკრებმა მხოლოდ
ერთი ქულის უპირატესობით აჯო-
ბა უნგრეთის ნაკრებს — 72:71
(36:33).

ნახევარფინალში არც საბჭოთა
ნაკრებს ჰქონდა ადვილი მატჩი. მით
უფრო, რომ ჩეხოსლოვაკიის დღე-
ვანდელი გუნდის თამაში მას სა-
ერთოდ არ უნახავს. შესაძლებელია
ბრძოლის სიმძაფრე სწორედ ამ ფა-
ქტმა განაპირობა — პირველი ტა-
იმი საბჭოთა კალათბურთელებმა 3
ქულის სხვაობით მოიგეს — 40:37.
მინიმალური უპირატესობა მათ შე-
სვენების შემდეგაც შეინარჩუნეს
(89:81) და ფინალში მონაწილეო-
ბის უფლება მოიპოვეს.

კლავი-ნიფორმისია

სსრ კავშირის კალათბურთელ
ქალთა ნაკრები ევროპის ჩემპიონი
გახდა. ფინალში მან იუგოსლავიის
ნაკრები დაამარცხა — 88:78 (44:38).
მესამე ადგილზე უნგრეთის გუნდი
გავიდა, რომელმაც ბოლო მატჩი
ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს მოუგო
— 75:67 (34:28).

სსრ კავშირის თანის გათამაშება და ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში

ვლადიმერ გოგოლაჰის გარეშე

სპორტული ტანვარჯიშის ჰემ-
მარტ დღესასწაულად იქცა სსრ
კავშირის თანის 32-ე გათამაშება
და ჩემპიონატი, რომელიც დონის
როსტოვიში მიმდინარეობს. ბროლის
თანს მოსკოველი დმტრი ბილო-
ზერჩევი დაეუფლა. შეჯიბრებაში
ბილოზერჩევის გარდა ქვეყნის თი-
თქმის ყველა უძლიერესი სპორტ-
სმენი გამოდიოდა (ვ. ლიუკინი, ვ.
მოგილინი, ი. კოროლოვი, ვ. არ-
ტემოვი, ა. ტინკინი, ვ. ნოვიკო-
ვი). ფავორიტთა შორის არ იყო
მხოლოდ თბილისელი ვლადიმერ
გოგოლაჰე, სპორტსმენი, რომელ-
მაც ბოლო წლებში ღირსეულად
დაამტკიცა ქვეყნის ერთ-ერთი უძ-
ლიერესი ტანვარჯიშის სახელი და
ბუნებრივად, მის გამოსვლებს დი-
დი ინტერესით ადევნებდნენ თვალ-
ყურს ჩვენი რესპუბლიკის სპორ-
ტის გულშემამტკიცებლები.
რა მოხდა, რატომ არ გამოვიდა
ვლადიმერ გოგოლაჰე როსტოვის
სპორტულ სარბილზე? ამ შეკი-
თხვით მოგვმართავენ და განმარ-
ტებს გვთხოვენ ჩვენი მკითხვე-
ლები.
სპორტის გულშემამტკიცებებს შე-
ვასწავნებთ, რომ ვლადიმერ გოგო-
ლაჰე წელს, ჯერ კიდევ მსოფლიო
უნივერსიადის წინ, მზადების ბო-
ლო ეტაპზე დაშვდა, ტრავმა კი ბე-

ვრად სერიოზული აღმოჩნდა, ვიდ-
რე ვარაუდობდნენ. გახანგრძლივ-
და მკურნალობა და სპორტსმენი
ჯერაც არ შედგომია ინტენსიურ
ვარჯიშს. გოგოლაჰე ამჯერად თბი-
ლისშია და მისი უახლოესი გეგ-
მები მკურნალობის დამთავრების
შემდეგ მომავალი წლის ოლიმპი-
ურ თამაშებთან არის დაკავშირე-
ბული. სპორტსმენს სწამს და სჯე-
რა, რომ მალე აღიდგენს სპორ-
ტულ ფორმას. რაღა თქმა უნდა,
გულშემამტკიცებებიც ამის იმედს
უნდა ვიყუთ.

დაბოლოს, არ შეიძლება დღმი-
ლით ავუაროთ გვერდი ერთ სა-
კითხს. სპორტის გულშემამტკიცებები
ექვს გამოთქვამენ, თითქოს გოგო-
ლაჰე თავად არ ცდილობს დააჩ-
ქაროს სარბილზე დაბრუნება,
მაგალითად მოჰყავთ იგივე ბილო-
ზერჩევი, რომელმაც ტრავმის შე-
მდეგ დიდი მონდომებით დააჩქარა
მწყობრში დაბრუნება და კვლავ
დაამტკიცა, რომ უძლიერესია. ჩვენ
გვესმის, რომ ყველა ტრავმა ერ-
თნაირი არ არის და მკურნალობის
ხანგრძლივობაც არ შეიძლება ბე-
ლოვნურად დაჩქარდეს. რედაქცია
შეეცდება ამ საკითხზე ახლო მო-
მავალში ამომუშავებ და კომპეტე-
ნტური პასუხი მიაწოდოს მკითხვე-
ლებს.

როგორც მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატ-
ზე ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლე-
ტის 48 კომპლექტი გათამაშდა. აქვე გათავა-
ზობთ ამ მედლების ნიმუშის ორივე მხარეს.
წერილი ჩემპიონატის შესახებ იხილეთ მე-2
გვერდზე.

კალათბურთში სსრ კავშირის ვაჟთა 55-ე ჩემპიონატის წინ 24 სექტემბერიდან...

უმაღლესი ლიგის კალათბურ-
თელ ვაჟთა 55-ე საკავშირო ჩემ-
პიონატი 24 სექტემბერს დაიწყება.
პირველი წრის პირველი ტურის მა-
ტჩები სამ ქალაქში გაიმართება.
თბილისში იასპარეზებენ: ცსკა, დო-
ნციუს „შახტიორი“, თბილისისა და
მოსკოვის დინამოელები, მინსკში —
ადგილობრივი რტი, კაუნასის „ჟა-
ლგირისი“, ვილნიუსის „სტარტაბა“
და რიგის ვეგე-ი, ხოლო „ლეინგა-
რაღში“ — „სპარტაკი“, კიევის ასკ
და „სტრითტელი“, აგრეთვე, ტა-
ლინის „კალევი“.

დრო ჩემპიონატის დაწყებამდე,
როგორც ხედავთ, ცოტა დარჩა და
გუნდები ამ პერიოდს ინტენსიურ
მზადებაში ატარებენ. სხვათა შო-
რის, ჩემპიონატისათვის სამზადისს
ითვალისწინებდა ის მრავალრიც-
ხოვანი საერთაშორისო ტურნირე-
ბები, რომლებზეც უმაღლესი ლი-
გის კოლექტივები ამ ბოლო დროს
მონაწილეობდნენ.
ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრება
(ოლონდ ტრადიციული) ჩეხოსლო-
ვაკიის ქალაქ პარდუბიციში გაი-
მართა. ასპარეზობაში გამოდიოდ-

ნენ სოციალისტური ქვეყნების ღი-
ნამოელთა კოლექტივები, კერძოდ
თბილისის „დინამო“, პოლონეთის
„გვარდია“, ჩეხოსლოვაკიის „რუ-
და გვეზდა“, რუმინეთის „დინა-
მო“ და ბულგარეთის „ლევისკი სპა-
რტაკი“.
ჩვენი კალათბურთელებისთვის ამ
ტურნირს, როგორც ზემოთ აღვნი-
შნეთ, საყვრთნელი მნიშვნელობა
ჰქონდა. გაისინჯა დაცვისა და თავ-
დასხმის სხვადასხვა სისტემები, მო-
ეწყო ერთგვარი კორექცია ხაზებს

შორის, შემოწმდა ძირითადი და
სათადარიგო მოთამაშეთა შესაძლე-
ლობები. სწორედ ამით შეიძლება
აფხსნათ ის, რომ თბილისელებმა
ორი შეხვედრა მოიგეს („რუდა
გვეზდასთან“ — 91:87, „დინამო-
სთან“ — 89:81), და ორიც წა-
გეს („გვარდიასთან“ — 82:84, „ლე-
ვისკი სპარტაკთან“ — 65:69).
ტურნირის დანატარების შემდეგ
თბილისის „დინამოს“ წევრს გელა
დარსაძეს ორი პრიზი გადაეცა: ერ-
თი, როგორც საუკეთესო მოთამა-
შეს, მეორე, როგორც სამჭულიანი
ტურნირების საუკეთესო შემსრუ-
ლებელს (მან ასეთი სრულით 22-
ჯერ მოათავსა ბურთი მეტოქეთა
კალათში).

მოხლოდ
ოთხმთხვათამდე თავისუფა-
ლი სტილის მოქილავ მონაწილე-
ობა თბილისში პროფკავშირების
მკლესნურ მანქანში გამართულ ას-
პარეზობაში. პროფკავშირთა ფიზი-
კულტურულ-სპორტული საზოგა-
დოების რესპუბლიკური საბჭოს
ჩემპიონის სახელი მოიპოვეს სო-
ხუმელებმა გ. გულბანმა, ვ. ჯინო-
რამა, ა. საკიანმა, ხ. გოგიჩაიშვი-
ლმა, გორელებმა ა. ტლაშაძემ, გ.
გოგინიასვილმა, ი. ჯოგემამ, ქუ-
თაისელებმა გ. ჯანელიძემ და ლ.
სირაძემ, ჭობულეთელმა გ. სალავე-
იძემ.

დღეს არაფერი ისე არ აერითანებს ჩვენი პლანეტის ადამიანებს, როგორც სპორტი. XX საუკუნის ამ ფენომენმა თავის ორბიტაში მოიქცია მთელი მსოფლიო. და მაინც, სპორტის რომელი სახეობაა ყველაზე უპოვარო, რომელს ენიჭება უპირატესობა? თუ გავრცელებს მასშტაბით ვიმსჯელებთ, პირველ ადგილს მძლეოსნობა დაიკავებს. ახლა მძლეოსნობის ხაერთაშორისო ფედერაცია, რომელიც 75 წლის წინათ შეიქმნა, მსოფლიოს 179 ქვეყანას აერთიანებს, ყველაზე მეტს, ვიდრე სპორტის სხვა რომელიმე სახეობა.

რომში კი ოფიციალური მონაცემებით საასპარეზოდ 165 ქვეყნის 1800-მდე რჩეული სპორტსმენი ჩამოვიდა (მათ შორის ორი საქართველოს წარმომადგენელი იყო). საყოველთაო ინტერესით ეს ჩემპიონატი აშკარად გაუტოლდა ოლიმპიურ თამაშებს და ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატს. ჩვენი პლანეტის საუკეთესო მძლეოსნები ერთ თანავარსკვლავედად შეკრული იხილა მთელმა მსოფლიომ რომის ოლიმპიურ სტადიონზე, ჩემპიონატი სპორტის ტრადიციულ ზეიმად იქცა. მრავლისმანახველი რომი, რომელიც თავის დროზე ოლიმპიური თამაშებისა და ფეხბურთში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების მასპინძელიც იყო, ამ ასპარეზობით განსაკუთრებით იწონებდა თავს. მძლეოსნობა მსოფლიო ჩემპიონატი იქცა თანამედროვე სპორტის ფესტივალად, რომელიც სპორტის ამ სახეობის ისტორიაში ოქროს ასობით შევა.

გაიხსენებთ მიწურულს რომში ჩასული კაცი, თუნდაც სპორტულ შეჯიბრებაზე დასწრების სურვილი არ ჰქონდა, ძალუენებურად აღმოჩნდებოდა სპორტული ბატალიების ეპიკენტრში — მარადიულ ქალაქში გამართულმა მძლეოსნობის მსოფლიო ჩემპიონატმა ხელმოიღობინა რომს მთელი სიგრილე-სიგანით დაატყო თავისი კვალი. ეს გონივრულად მოფიქრებული რეკლამის წყალობაც იყო, რომელიც იტალიის დედაქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილებს „უტყვევდა“. ლეონარდო და ვინჩის სახელობის აეროპორტში ჩასულ მგზავრს პირველ რიგში ჩემპიონატის სარეკლამო აფიშები ეცემოდა თვალში. გემოვნებით შესრულებულ სარეკლამო ფურცლებსა და დავფებს დაეპყრო ქალაქის მეტრო, საავტომობილო და სარკინიგზო სადგურები. ჩვენ სადგურ „ტერმინის“ გვერდით ვცხოვრობდით და ყოველდღე ვხვდავდით რა გატაცებოთ უცქერდა მილთის ხალხი სადგურის უზარმაზარ დარბაზში საგანგებოდ ამ ჩემპიონატისათვის დაღმრულ ვეებეოთელ ტელეკომპანს, რომელიც თითქმის მთელი დღე უჩვენებდა შეჯიბრების ეპიზოდებს. ჩემპიონატს უდიდეს ყურადღებას უთმობდა იტალიის ტელევიზია, 3 სახელმწიფო და ასამდე კერძო სადგური და, რასაკვირველია, პრესა...

რეკლამა რეკლამად, მაგრამ რომელია დიდი ინტერესი ამ შეჯიბრებისადმი თვით „სპორტის დედოფლის“ მზარდმა მსოფლიოში მანაპირობა. აღრცე ასე იყო, მაგრამ ბოლო ხანს მძლეოსნობა-



დედოფლის მთელი ამაღლა

მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში. რომი. 29 აგვისტო — 6 სექტემბერი, 1987 წ.

ში მოპოვებული წარმატებები თითქმის ყველა ქვეყნისათვის სპორტის კულტურის დონის მაჩვენებელი გახდა. იზრდება იაფის — მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წევრთა რიცხვი. მძლეოსნობაში კანონდებული სახელმწიფოების სპორტსმენებს თანდათან ავიწროვებენ იმ ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებსაც ადრე არავითარი ტრადიცია არ გააჩნდათ. ახლა ბევრი უმსხვილესი ფერმა ცდილობს თავად ჩაატაროს მძლეოსანთა ტურნირი და ხელი მოიტანოს (სარფიანი საქმის მიმართ ფხიანი ბიზნესმენები უფაქიზეს ყნოსვას იხევენ).

რომის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს თვით იაფის პრეზიდენტი, იტალიელი პრიმო ნეპოლო ჩაუდგა სათავეში. მის წინაშე წამოჭრილი პრობლემები უკვე წარსულს ჩაბრუნდა და ამიტომ მათზე ყურადღებას არ გავაძვირებთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ რომის ოლიმპიური სტადიონი, მისი ყველა კომუნიკაცია, აურაცხელი მომსახურე პერსონალით, საუცხოოდ იყო მომზადებული შეჯიბრებისათვის.

ჩემპიონატისადმი ინტერესი რომის პაპმა საჭიროდ ჩათვალა ქურნალისტებისა და შეჯიბრების საპატიო სტუმრებისთვის აუდიენცია გაემართა. წვეულება გამართა იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფრანჩესკო კოსიგამ.

ჩემპიონატი 29 აგვისტოს, საღამოს 4 საათზე გაიხსნა შუაეკრების

დროით. იმ დროს ოლიმპიურ სტადიონზე მზე ჩახახებდა. ჩემპიონატის დღეებში რომში ცხელოდა, მაგრამ ისე არა, რომ სპორტსმენებისათვის ასპარეზობაში ხელი შეეშალა...

ვიდრე შეჯიბრების სახეობა გახსნის ცერემონილის უჩვეულოდ ლამაზ, სტილიზებულ წარმოდგენაზე გაამბობდეთ, გვინდა თვით „ფორო-იტალიკოზე“ გითხრათ ორიოდ სიტყვა. ეს უზარმაზარი სპორტული კომპლექსი, საგანგებოდ 1960 წლის ოლიმპიადისთვის აშენეს. „ფორო-იტალიკოზე“ უმრავლესი დიდი და პატარა მოედანია, მაგრამ მისი სიამაყე ოლიმპიური სტადიონი „ფორო ოლიმპიკოა“, რომელიც იტალიაში სიდიდით მეორეა და 80 ათას მაყურებელს იტევს (ქვეყანაში უდიდესია 82 000-ადგილიანი ნეაპოლის „სან-პაულოს“ სტადიონი).

იტალიელებმა და ჩემპიონატის მომსახურე ფირმებმა ისეთი გამჭვირავობა და წინდახედულება გამოიჩინეს, რომ სამუშაოდ სკეთეს პირობებს ვერ ინატრებდით. ქურნალისტს ყოველდღე ზღვა ინფორმაციას აწვდიდნენ. ერთხელ დავთვალეთ და აღმოჩნდა, რომ თითოეულმა ერთ დღეში 80 ფურცელი მივიღეთ, ახლა ეს რიცხვი 2700-ზე გამარავლეთ!

რა არ ეწერა ამ ფურცლებზე! სპორტსმენთა ასაკი, სიმაღლე, წონა. საუკეთესო შედეგი, უკანასკნელი დიდი შეჯიბრებების პრიზობრთა გინაობა (შესადარებლად)... ყველაფერ ამას დაუმატეთ ორი უზარმაზარი ტაბლი-ტელეეკრანი სტადიონის ვირაჟების თავზე და თითოეული ქურნალისტის მაგიდასთან დადგმული პატარა ტელევიზორი, რომლის ყველა არხი ჩემპიონატს აშუქებდა.

მსხვილმა ფირმებმა დიდი თანხები გაიღეს და რასაკვირველია, ცდილობდნენ მაყურებელთა და ტელემაყურებელთა ყურადღების ცენტრში მოქცევას. მთელი „ფორო-იტალიკო“ ჩემპიონატის სპონსორთა სარეკლამო დაფებით იყო აჭრელებული, სტადიონსა და მთელს რომს ზუსტებით დასტრიალებდა თავს უზარმაზარი მოწითალო-მომწვანო ფერის ღირებულო წარწერით „ფუჯი ფილმი“, საიდანაც ტელეგადაღებებსაც აწარმოებდნენ. იბტყეურ ხელსაწყოთა უდიდესმა ფირმამ ტკ-მ ჰაერით უპირატესობის მიმოთქვების მიზნით ორი უზარმაზარი საპერო ბურთი აუშვა. „ადიდასი“, „კოდაკი“ და სხვა გიგანტები ყოველ საღამოს ბეიეფისებს უმართავდნენ ჩემპიონატს. „ადიდასი“ სტადიონის მოპირდაპირე მხარეს, ულამაზეს სანაპიროზე ერთი კერძო გამაქანსადგმელი კომპლექსი დაიჭირა რესტორნითურთ. ფირმამ ამ ტერიტორიას „ადიდასი“-კლუბი დაარქვა და ყველაფერი უფასოდ დაუთმო სტუმრებს.

გართობა-დასვენებისთვის კლუბში ცნობილი სპორტსმენებიც ხშირად მოდიოდნენ. ერთ საღამოს ულამაზესი მოუ მოეწყო მსოფლიოს უძლიერესი მორბენლის ჯონსონის მონაწილეობით. ერთი სიტყვით, იმ ათი ოფიციალური სპონსორიდან, რომელიც ჩემპიონატს ემსახურებოდა, ყველა თავისას ცდილობდა და ფირმებს შორის არანაკლებ დაძაბული, მაგრამ ფარული ბრძოლა მიმდინარეობდა უპირატესობის მოსაპოვებლად, ისეთივე მძაფრი, როგორც სპორტულ სარბილზე.

თავისუფალ დროს კაცმა ადარდიცა სად წასულიყო, ყველგან გულთბილად ეპატივებოდნენ. ეროვნული და საერთაშორისო ფედერაციები, მათ შორის სპორტული ქურნალისტებისა, შეხვედრაზე იწვევდა კოლეგებს.

რომში თავიანთი წარმომადგენ-



ჩემპიონატის პირველი ოქროს მფლობელი პორტუგალიელი როზა მატა, რომელმაც დიდი უპირატესობით მიიგო შეჯიბრება მარათონში.

ლები გამოაგზავნეს იმ ქვეყნებმა და ქალაქებმა, სადაც მომავალ ოთხ წელიწადში მსხვილი საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებები უნდა ჩატარდეს. ხელსაყრელი მომენტი უზარმაზარ გამოიყენეს იმ ფირმებმა, რომლებმაც ამ შეჯიბრებებში ოფიციალური სპონსორებად ითვლებიან. რომში ჩამოვიდნენ საბერძნეთიდანაც, ბერძნები ორიგინალური სარეკლამო სუვენიერებით შეგვასვენებდნენ, რომ თანამედროვე ოლიმპიურ მოძრაობას 1996 წელს 100 წელი უსრულდება და სურვილი აქვთ „ოქროს ომბილე“ ათენმა, როგორც აღორძინებული ოლიმპიური თამაშების პირველმა მასპინძელმა, თავისებურად აღნიშნოს.

ჩემპიონატზე უამრავი საპატიო რსტუმარი იყო მოწვეული, მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს მაინც ყველა დროის საუკეთესო მძლეოსანთა სტუმრობა იწვევდა. საბჭოთა კავშირიდან ასეთი სტუმრები იყვნენ ვიქტორ სანეევი, ვალერი ბრუმევი, ვალერი ბოროზოვი და ტატიანა კაზანკინა...

პრესცენტრი ცხელ-ცხელი ამებების გამაგრებულ ცენტრში იყო. აქედან ვრცელდებოდა სენსაციური ამბები მთელს მსოფლიოში (სხვათა შორის, ისეთებიც, რომელთაც მძლეოსნობასთან საერთო არაფერი ჰქონდათ). სწორედ იქ შევიტყვეთ, რომ ცნობილი ფეხბურთელი, სავანგეთის ნაკრების გუნდის ყოფილი კაპიტანი მიშელ პლატინი მიმდინარე წლის ოქტომბრიდან იტალიის სახელმწიფო ტელეკომპანიის (რაი) კომენტატორი გახდება. იტალიის პრესაში ოფიციალური განცხადებაც გამოქვეყნდა, რომე-


ლიც იუწყებოდა, რომ პლატინი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ყოველ ორ კვირაში გამოჩნდება ტელეეკრანზე, 1988 და 1990 წლებში კი პლატინი ფეხბურთის მსოფლიოს რეპორტაჟებს გადმოიყვანს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებიდან. ცნობილი გახდა ისიც, რომ კონტრაქტი არ ზღუდავს პლატინის ტელეეკრანის სტურ მრავალწლიან. მან უფლება დაიბრუნა არასპორტულ თემაზეც მოაზროვნა გადაცემები. თქვა ისიც, რომ „პოლთან“ კონტრაქტის გადის ამ წურვის შემდეგ დიეგო მარადო ფეხბურთიდან წასვლას აპირებდა თანამშრომლობაზე ამ სპორტსმენთან აქედანვე აწარმოებს მოლაპარაკებას იტალიის ტელეკომპანია „ფორო-იტალიკო“ ქალაქის ნაპირს, ბორცვების ძირში მდებარეობს და ზემოდან ოქროსფერ მთელვარე სანტა მარის დიდი ნაკება დააყურობს. ვაქებე ვაქებულ რომის ცხელ ქუჩებში შედარებით სტადიონი საომარბით სიმწვანეთა სივრცით სურსაქვს.

...ყველაფერ ამალეებულს სადავე უხდებდა და ამშვენებდა ჩემპიონატის საზეიმო გახსნის ცერემონია სწორედ ასეთი იყო. შთაბეჭდილება სანახაობამ მაყურებელი მოიბოძა.

ჩემპიონატი რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფრანჩესკო კოსიგამ გახსნა და ამით ყველაფერი დასრულდა.

თენგიზ გაჩეჩილაძე, ბიოგრაფიული რომი — თბილისი.

(გაგრძელება იქნება).



რომი — ჩემპიონატის მასპინძელი.

რომის შედეგი

მსოფლიო ჩემპიონატის 12 ლაურეატი და კიდევ 22 პრიზორი მონაწილეობდა ბრიუსელში გამართულ იყო ვან-დამეს მემორიალში. საბჭოთა სპორტსმენებიდან გამარჯვება მოიპოვეს: სერგეი ბუბკა ქოკით ხტომაში — 580 სმ, ნატალია ლისინკაჟაა ზიბრთვის სტრ-

ში — 20,67 მ, ელენა რამანოვა 3 კმ რბენაში — 8.44,15 და აგრეთვე მუხომსტორცენლმა ვიქტორ გესიუკოვმა — 84,02 მ.

ბრიუსელში ცილია, ამიტომ მსოფლიო რეკორდი ვერაგინდა მყარა, თუმცა მონაწილეთა შედეგები მაინც მაღალი იყო: 200-მეტრიან დისტანციაზე ერთი გარბენა — ლუქსმა მოიგო (20,31).

მეორე — ჯონსონმა (20,76), 1500 მეტრი — ყველაზე სწრაფად სონლელმა აბდი ბილუმ. გაიბრნა 3.31,80. სიგარმეზე ხტომაში მარიაკელმა ჯო პაულელმა შეძლო რეკორდ ემიანის დამარცხება და გიმარჯვა შედეგით — 820 სმ. 3 წინააღმდეგობით რბენაში კენიელ ოლიმპიური ჩემპიონი ჯულიუს კრიზი პირველობდა.

სსსრ კავშირის ჩამოშლის 50-ე სადღესასწაულო

ბაშინი გაიმართა სსრ კავშირის 50-ე სადღესასწაულო ჩემპიონატის 24-ე ტურის მატჩები.

თბილისის „დინამო“ ერევანში შეხვდა „არარატს“. მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:1.

ბაქოში თამაზობდნენ ადგილობრივი „ნეფთჩი“ და ლანჩხუთის „გურია“. თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

სხვა შეხვედრები: „დინამო“ — „შახტიორი“ — 3:1

სხვა — „დინამო“ 8:2:2 „ჰენიტი“ — „მბირამი“ 1:2

„ნაბატაჰი“ — „მეტალისტი“ 2:1 „დინამო“ კ. „ტორპედო“ 2:2

სიტყვა თქვენზე, ქუთაისელი ფეხბურთელებო!

საპარტიზო ფეხბურთის წლებს უკვირს, უკვირს როგორც არასოდეს. ამ დღივით გავიწყდება და სერიოზული ჩავარდნის ერთ-ერთი უპირველესი მიზეზები ქუთაისის „ტორპედო“. დიან, ქუთაისის „ტორპედო“, რომლის შესანიშნავი წარმატებებით წლიდან წლამდე ასე ამყარებდა საქართველოს საბურთალოს საზოგადოებრიობა, რომლის შესანიშნავი ფეხბურთელები სისტემურად გამოდიოდნენ არა მარტო თბილისის „დინამოს“, არამედ სსრ კავშირის სხვადასხვა ნაკრებ გუნდებში, კერძოდ, პირველ გუნდშიც.

მაგრამ დრონი იცვლებიან, ქუთაისური ფეხბურთისაც გაუჩნდა „ქია“ და როცა ამ ჩვენს განთქმულმა გუნდმა უმაღლესი ლიგა დატოვა, ეს ფრიად სამწუხარო ამბავი ყველამ ახლოს მივიტინებთ გულთან. თუმცა, ისევ და ისევ იმ იმედით ვიყავით, რომ ტორპედოელები, როგორც ეს ადრეც ყოფილა, კვლავ დაიმკვიდრებდნენ ადგილს საბჭოთა კავშირის უმაღლეს საფეხბურთო ელიტაში.

ახლა კი რას ვხედავთ? ახლა ლაპარაკი გვინდა არა უმაღლესი ლიგაში დაბრუნებაზე, ამას ვილა ჩივის, I ლიგის გუნდების საკავშირო გათამაშებაში ქუთაისის „ტორპედო“ დღეს ბოლო ადგილზეა.

ლიგაში 22 გუნდია, მათ შორის ქუთაისელები 22-ე ადგილზე იმყოფებიან.

სად და როდის გამოგვეპარა თავსა და ხელს შორის ის ძარღვი, ის მაკონტროლებელი ძალა, რომლითაც სულდგმულობდა ტორპედოელები სახელოვანი კოლექტივი? რა თქმა უნდა, უპირველესი დანაშაული გუნდის მწვრთნელებსა და თვით ფეხბურთელებს მიუძღვის, მაგრამ დანაშაულები ვართ ყველანი, ვინც თავის დროზე არ მიხედა თავდაღმართზე დაქანებულ „ტორპედოს“.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას, რომ წარსულში ზოგჯერ გაუმართლებლად მოგვყავდა თბილისის „დინამოში“ ის ქუთაისელი ფეხბურთელები, რომლებიც თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობას არ გამოადგებოდნენ, მაგრამ წლებადღობი ჩავარდნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიცაა, რომ დროზე არ მივადევნეთ თვლი საქართველოს მფრთველებს. ეტყობა, დღენიადავ ხვალსდღეა დროს იმედით ვიმყოფებოდი, ერთთავად იმას ვფიქრობდი, რომ ხვალ თუ არა ზევ მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა.

სწორედ ამ „ხვალ“, „ხვალ“-ის იმედით შევცქეროდით მოვლენებს და დღეს იმ სავალალო 22-ე ადგილამდე მივვით.

ერთი წუთითაც არ გვინდა დავუშვათ, რომ ქუთაისის „ტორპედო“ მეორე ლიგამდე ჩამოინაცვლებს, რომ კატასტროფა გარდაუვალია. ეს უპირველეს ყოვლისა თვით ტორპედოელებს კოლექტივმა უნდა ირწმუნოს და რახან საქმე ასე წაიქცა, ყველაფერი გააკეთოს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.

ამ ჩვენს საფეხბურთო „ავარიამდე“ მივვლით ჩვენი უყურადღებობისა და უნიათობის შედეგად.

ბოზისა და უნიათობის შედეგად. ალბათ, გასოვთ, წლებადღობი განთამაშების პირველი მატჩი ქუთაისელებმა შინ წააგეს ოდესის „ჩერნომორეთთან“ — 0:2, შემდეგ ზედიზედ ორი ფრედ — 0:0 და 0:0, მარცხი ტიუმენში — 0:3, მარცხი შინ მოსკოვის „ლოკომოტივთან“ — 0:2, ე. ი. 5 კალენდარული მატჩი, მხოლოდ 2 ქულა და არც ერთი გატანილი გოლი — 0:7. აი, სწორედ მაშინ იყო საქიორი საგანგაშო ზარების შემოკვრა, ჩვენ კი ისევ ხვალსდღეა დღის იმედით ვიმყოფივართ, რომ 8 კალენდარულ მატჩში ქუთაისის ტორპედოელებმა სულ ერთი, მხოლოდ ერთი ბურონი გაიტანეს!

შემდგომში ქუთაისელებმა ოდნავ გამოაყეთეს სატურნირო მდგომარეობა, გუნდში გარკვეული ცვლილებები მოხდა, კოლექტივის რამდენიმე ახალი მოთამაშე შეემატა, მაგრამ ბოლო ხანებში, სწორედ მაშინ, როცა გარდაქმნა უნდა დამდგარიყო, ქუთაისელმა ფეხბურთელებმა ბოლო ორ უარესად საპასუხისმგებლო მატჩში, სწორედ იმ ეტოქებთან, რომლებთანაც უშუალო შეხვედრებში გვექონდა სატურნირო ცხრილში წინ გადასაწყვეტის რეალური შესაძლებლობა, ტორპედოელებმა შინ ორი უმნიშვნელოვანი მატჩი წააგეს: აბოვიანის „კოტაითან“ 0:3 და ორჯონიძის „სპარტაკთან“ 0:1. ამ გუნდებმა სწორედ ქუთაისის „ტორპედოს“ ხარჯზე კონტრქიცივს ადგილი იქ, სადაც უკომპრომისო ბროლია ლიგაში დასარჩენად.

საკუთარ თავს ვაძლევთ იმის უფლებას, რომ გვითხონ ტორპედოელ ფეხბურთელებს: ნუთუ ისეთი სუსტია მათი გუნდის შემაღ-

გენლობა რაც მას შემდეგ შეცვალდა რამდენიმე დროისა და არა მხოლოდ მათთვის, მინიმუმ, საქართველოში მატჩების წინაშე დაამალა ასეთი გადამწყვეტი, საარსებო მნიშვნელობის მატჩები? მხოლოდ ფეხბურთელთა უნებისყოფობას უნდა მივაჩიოთ. ის ამბავი, რომ სწორედ ყველაზე გადამწყვეტ ეტაპზე დამთეს მათ 4 უარესად საპირო ქულა და სატურნირო ცხრილის ფსკერზე აღმოჩნდნენ.

ახლა პათეტიკური მონოლოგებისა და წარსულის დამანაშვეთა თიბის დრო არაა, ახლა შევლა უნდა საქმეს. და ქუთაისელი ფეხბურთელთა კოლექტივიც ერთ მონოლოგთა უნდა შევიკრას, რათა ბოლო 3 ადგილებზე მოხვედრის საშუალება აიცილოს თავიდან.

პერსპექტივები კი ძალზე მწივლია. ქუთაისის „ტორპედოს“ სტრუქტურულ თამაში უწყვეს ბათუმში, ვორონეჟში, ვოლოგოდაში, სტავროპოლში, როსტოვსა და კუბინსკში, შინ კი ლეზოვლს ნიკოპოლის „კოლოსს“, ზაპოროჟიის „მეტალურგს“, იაროსლავლის „მინსკს“, რიგის „დნეპროსს“ და ოდესის „ჩერნომორეთს“. თითოეული ეს თამაში საგანგებო, ფინალურ მატჩად უნდა იქცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კატასტროფისგან თავს ვერ ვისწვით.

და ყველაფერი ეს უნდა გააკეთოს თვით კოლექტივმა, თვით ფეხბურთელებმა და უფროსმა მწვრთნელმა რევაზ ქობულაძემაც, რომელმაც სულ ახლახან ჩაიბარა მშობლიური გუნდი.

გათამაშების დარჩენილ ეტაპზე საქიორა გაკეთდეს ყველაფერი მდგომარეობის სასწრაფოდ! სიტყვა თქვენზეა, ქუთაისელი ფეხბურთელებო!

11 სექტემბერს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 28-ე ტურის მატჩები.

საყურადღებოა ყურადღებას იპყრობდა ზონის ერთპირი ფეხბურთელი ლიდერის სამტრედიის „ლოკომოტივის“ მატჩი თბილისში „შეგარდის“-სთან.

სამტრედიელი ფეხბურთელები მთელი სეზონია არ ამოხდნენ ლიდერის პოზიციებს, გუნდი შინაც და სტუმრადაც სტაბილურად, ძლიერად თამაშობს და მთი უფრო გასაკვირია ის, რომ სამტრედიელებმა ვერაფერი გააჩვენეს ამ დღეს.

რა თქმა უნდა, სათანადო უნდა მიეზღოს „შეგარდისს“, რომელიც დიდი მონდობით და შერატებით თამაშობდა, სამტრედიელებმა კი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, სამწუხაროდ, ამჟამად გავაწყვიტეს. 8 წუთი იყო გასული მატჩის დაწყებიდან, როცა უგრძობი ინიციატიული გარდვევა გოლი დაამთავრა, აღდგინე ხნის შემდეგ იგივე უგრძობი „ლოკომოტივის“ მცველმა აკრიძულა ხერხით შეაჩერა, ებნათის მიერ დარტყმული 11-მეტრიანი მოიგერია მეკარე ბერაძემ, მაგრამ ებნათიემ განმეორებით დარტყმით ანგარიში 2:0-მდე აიყვანა.

პირველი ტაიმის დასასრულს უგრძობი მესამე ბურთი გაიტანა და სამტრედიელები ფაქტობრივად წაგებულს ამგარა საშუაროების წინაშე აღმოჩნდნენ. მატჩის ბოლო წუთზე ციკარიშვილმა საბოლოო წერტილი დაუსვა ანგარიშს — 4:0.

ასევე წარუმატებლად გამოვიდა მეორე ლიდერი — სოხუმის „დინამო“ რუსთავეში, სადაც ადგილობრივი „მეტალურგისგან“ მარცხი იწყინა დიდი ანგარიშით — 0:3.

ლიდერთა ჯგუფში მძაფრი კონკურენციაა, მაგრამ არანაკლები მეთოქობაა გათამაშების ცხრილის ბოლოში მყოფ გუნდებს შორისაც. დაბულბის „შესამოსადა“ ლიგის ლიდერების საშინროების წინაშე იმყოფებიან გორის „დინამო“ და ტყაბულის „მეშახტე“. ამ დღეს სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს გორში.

როგორც ჩვენს მკითხველს მოეხსენება, დიეგო მარადონას უმცროსი ქმა უგო (თუმცა იგი „ნაპოლის“ საკუთრებაა), დროებით „ასკოლიში“ თამაშობს. ამასთანავე ევროპაში გადმოსვლა მოინდომა მესამე მამა 20 წლის რუსულ მარადონაძეს, რომელსაც გულშემატკივრები „ლალს“ უძახიან. იგი შუა ხანის მოთამაშეა. შენაჩერება ანტონიო კალენდო, რომელიც არაგვინელ ფეხბურთელებსა და იტალიურ კლუბებს შორის შუამავლს როლს ასრულებს, ვანაქსაძე,

რომ მარადონა-111 მეორე ლიგა კლუბ „მონტალეში“ (მოლდოვა) ითამაშებს.

თადარიგის პაას ჰჰიია! ქ. შტუტგარტის (გფრ) ბურგომისტრმა მანფრედ რომელმა ყურნალობისტებთან საუბარში განაცხადა, რომ აპირებს თავისი ქალაქის კანდიდატურა წაოაყენოს 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად! ბურგომისტრმა ისიც თქვა, რომ ამავდროულშიაღიის ჩატარება სურთ გფრ-ის სხვა ქალაქებსაც: მაინის ფრანკფურტს, ჰამბურგს და გელზენჰორსტს.

„დინამო“ თავიდანვე ძალაწოა სრულ უპირატესობას და ითამაშა ისე, რომ მისი გამარჯვების კანონზომიერებაში ეჭვი არავის შეჰპარვია. პირველი ტაიმის დასაწყისშივე ანგარიში გახსნა ხორგუაშვილმა, შესვენების შემდეგ კი იმავე ხურგუაშვილმა, რომელსაც ევრაფერი მოხერხებს ტყაბულთა მცველებმა, 3 ბურთი გაიტანა „მეშახტის“ კარში. მხოლოდ მატჩის ბოლო წუთზე შეძლო გავინძემ ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა. გაიმარჯვა „დინამო“ — 4:1.

გორელ ფეხბურთელთა მიმართ ქების მეტი არაფერი გვეთქმის, აი, „მეშახტე“ კი თავის შესაძლებლობაზე გაცილებით უფრო სუსტად ითამაშა და ეს მაშინ, როცა გუნდს სწორედ ახლა სჭირდება მაქსიმალური მობილხება და თავგამოვლდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მეშახტე ფეხბურთელთა ერთ-ერთი ყველაზე უხერხოდ ჩატარებული თამაში წლებადღობს სეზონში.

„დინამო“ და „მეშახტის“ მატჩი მიმდინარეობდა სავსებით კორექტულად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე, საუკეთესოდ გაართვა თავი მოვალეობებს მსაჯთა ბრიგადამ ზ. ჯინჯარაძის (მხარაძე) და მ. ბირცხულაიას (ლანჩხუთი) და 3 დროულად შევსდნენ ქუთაისის შემადგენლობით. მათ მიმართ არავითარი პოპიტენხია არა ჰქონიათ ორივე გუნდის წარმომადგენლებს, რომლებმაც მატჩის დამთავრების შემდეგ მადლობა გადაუხადეს სამივე მსაჯს, არავითარი შენიშვნა არ ჰქონიათ მატჩის ოფიციალურ ინსპექტორსა და „ლოლოს“ წარმომადგენელსაც, რომელიც გორში ეპრებოდა თამაშს, მაგრამ მაინც გამოჩნდა „დინამო“ რომელიც თავისი უხეშობით საქციელით ჩრდილი მიაყენა ამ მატჩს. ლაპარაკია ტყაბულელ ფეხბურთელ გ. ლაფერაძეზე, რომელმაც სრულიად უმზუნველად, უსადგუმლო ლანდგვანებით აიკლო მსაჯი. გ. ლაფერაძე ამისთვის ჯერ გააფრთხილეს, მერე კი მინდობიდანაც გააძევეს. თავისი უმგვანი საქციელით მან უღალატა მეგობრებს და უმძიმეს სიტუაციაში გუნდი 10 მოთამაშეს შემადგენლობით დატოვა მინდობიზე. გარდა ამისა, სანამ მინდობი იმყოფებოდა, მან აკრიძულია სასარგებლო არაფერი გაუკეთებია კოლექტივისთვის.

სატურატი სსსრ კავშირის XXVI ჩემპიონატი ხელბურთელ ვაჟთა შორის. ასტრახანში თბილისის „ბურევესტნიკი“ შეხვდა მაის სტუდენტებს. ეს იყო თანაბარ ძალთა გუნდების ორთაბრძოლა. მეტოქეები კვალში ჩაუდგნენ ერთმანეთს და ამიტომ ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია უპირატესობას — 11:11.

შესვენების შემდეგ სარბილზე სურათი არ შეცვლილა — გუნდები მონაცვლობით გადიოდნენ წინ. ბოლო წუთზე ანგარიში 18:18 იყო და თითქმის მათ ორი ქულა უნდა გაეყოთ, მაგრამ საფინალო სასტრატეგიამ 3 (1) წმით ადრე მომავალთა ავიანიწინებმა გადამწყვეტი ბურთის გატანა შეძლეს მეტოქის კარში და გაიმარჯვეს — 19:18.

მიმსკლე და კიეველ არმიელთა შეხვედრაში იმარჯვდა ბელორუსიის წარმომადგენლებმა, ადგილობრივმა „დინამომ“ სძლეს ლენინგრადის „ნეფსს“. ასპარეზობა გრძელდება.

პირველი სენსაციია ოსტარაში. ძალისანთა მსოფლიო ჩემპიონატი პირველი სენსაციაც მოხდა. 82,5 კგ-ში, სადაც ჩვეულებრივად საბჭოთა ან ბულგარელი შტაბისტები იმარჯვებდნენ, ოქროს მედალს უნგრელი ლალსო ბარში დაეპატრონა — 390 კგ.

ბარში ახალბედა ძალისანი არ გახლათ. შარშან მსოფლიო ჩემპიონატში მან ბრინჯაოს ჯილდო მოიპოვა, ევროპის ჩემპიონატზე კი მეორე იყო, მაგრამ ორტილის ჯამში ასეთი მაღალი შედეგი არც ერთ ტურნირში არ უჩვენებია. სწორედ ამიტომაც, მისგან ასეთ წარმატებას არ მოელოდნენ.

ვერცხლის მედალი ამჯერად საბჭოთა ნაკრების დებიუტანტმა ფრუხელმა სერგეიმ ლმ დაისაფურთა — 382,5, ბრინჯაოს კი მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა, ბულგარელმა ასენ ზლატევმა — 375 კგ.

ბოლოს და ბოლოს პირველი ოქროს მედალი საბჭოთა ძალისანიმაც მოიპოვეს. 90 კგ-ში ჩემპიონი გახ-

და ცელინოგრადელი ანატოლი ხრატკი — 417,5 კგ. მანვე გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი იკრაში — 233,5 კგ.

ფინალში გავიდნა ნიუ-იორკი. ნატალია ზვერევა და ანდრეი ჩერკასოვი აშშ-ის ონიორ ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდნენ. ზვერევა ამერიკელი მერედო მკარტი შეღარებით ადვილად დაამარცხა — 6:1, 6:1. მეოთხედფინალური შეხვედრის მოგება არც ჩერკასოვი გასჭირვებია. ბრძოლის ბედი აქაც ორ პარტიაში გადაწყდა — 6:1, 6:3.

ფინალში ტურნირში მოასპარეზე საბჭოთა დეტებს კი ბედმა უმჯუყუნა. ჩერკასოვისა და ვლადიმერ პეტრუშენოს შილივი ვაშინეტონისა და მარტინ ბლეკანის (აშშ) წყვილმა აჯობა 6:3, 4:6, 7:6. მასპინძლებთან — დებ გრეჰემთან და სანდრა ბეიჩთან წააგეს შეხვედრა ნატალია მედვედევამ და ელენე ბრიუნოვემაც — 2:6, 2:6.

გუნში საღამოთი ვახსა ცნობილი, რომ ნატალია ზვერევა ფინალში გავიდა. აქ მისი მეტოქე ამერიკელი სანდრა ბიჩი იქნება. ფინალში ითამაშებს ანდრეი ჩერკასოვიც. იგი ამერიკელ დევიდ უიტონს უნდა შეხვდეს.

გადამწყვეტი შეხვედრის მონაწილენი ქალთა მთავარ ტურნირშიც გაიჩკვა. შტეფან გრაფმა (გფრ) დაამარცხა ამერიკელი ლორო მაქნილი (4:6, 6:2, 6:4) და ახლა ფინალში მარტინა ნავრატისოვასთან იბრძოლებს, რომელმაც, თავის მხრივ, ჰელენა სუკოვა (ჩეხოსლოვაკია) მოუგო — 6:2, 6:2.

ვთავა წყვილებში აშშ-ს ჩემპიონები შტეფან ედბერგი და ანდრეს იარილი (მეკიკა) გახდნენ. ფინალში მათ ამერიკელებს კენ ფლეკსა და რობერტ სეგუროს აჯობეს — 7:6, 6:2, 4:6, 5:7, 7:6.

ველისსორები

ფლორანსია, მიქაელანჯელო მოდანი

ევერეტი თანამეგობრობის მრავალდღიანმა ველორობომა ფაქტობრივად აბაზობდა, სწორედ

ლავენირი“ შეცვალა. შეჯიბრება იტალიის გარდა ავსტრიის, გფრ-ის და ბელგიის გზებზე ტარდება და ამიტომაც მიიღო მან ახალი სახელწოდება.

ბოლომ ძალზე ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი და ამიტომაც მიიღო მან „თანის“ სტატუსი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთავარი პრიზისთვის მოყვარულთა გარდა პროფესიონალი ველოსიპედისტებიც იბრძვიან. შეჯიბრებაში გამოდის თერთმეტი ეროვნული ნაიყრდი და პროფესიონალთა რვა გუნდი, რომლებიც უმთავრესად სამრეწველო ფირმებს წარმოადგენენ. სხვათა შორის, პირველ ეტაპზე გუნდური გამარჯვება სწორედ ერთ-ერთი ასეთი ფირმის („სისტემ უ“-ს) ველოსიპედისტებმა მოიპოვეს, გუნდმა, რომელმაც წლებადღობი „სტურ დე ფრანსი“ მოიგო.

მესამე ეტაპის ფინიში მოეწყო ფლორენციაში, მიქელანჯელოს მოედანზე. ფინიში ხახი პირველად დროით რანდომ (იტალია) გადაკვანათა. 168 კილომეტრი მან 3:53.02-ში გაიარა. ასეთივე შედეგით დაამთავრეს ეტაპი მეორე იტალიელმა პეტრანჯელო ბინეოტომ და გორაკელმა დიმიტრი კონიშევმა. მეორე საბჭოთა ველოსიპედისტს ხარკოველ ალექსანდრე ზინოვიევის მეხუთე შედეგი ჰქონდა.

სამი ეტაპის ჯამში ლიდერობას ფრანკი ყოელ პლეი იწარჩუნებს. მას 11 წმით ჩამორჩება მეორე ადგილზე მყოფი პიტერ უგრიუმი.

დავატაპიტი პარიოდში...

მონკაალი. კანდის თასის გათამაშების პირველმა ფინალურმა მატჩმა ადგილობრივი და საბჭოთა პოკისტებს შორის მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ შეხვედრაში ყველა დაამტკიცა ბრძოლის მთელია და იგი მართლაც უსაღრესად მძაფრი და საინტერესო გამოდგა. საბჭოთა პოკისტებმა გამარჯვეს — 6:5 (3:1, 1:1, 1:3, 1:0).

საბჭოთა სპორტსმენთაგან შინებში გაიტანეს: კასტრონოვემა, კრუტოვმა, მაკაროვმა, კამენსკიმ, ხომუტოვმა და სემანკამ. ეს უკანასკნელი გოლი დამატებითი დროის მე-6 წუთზე გაიტანა. კანდილთაგან თავი გამოიჩინეს: ვარტენრმა, ბურკემ, გილორმა, ანდერსონმა და გრეტემ.

პოკი

გადაღონა-111

როგორც ჩვენს მკითხველს მოეხსენება, დიეგო მარადონას უმცროსი ქმა უგო (თუმცა იგი „ნაპოლის“ საკუთრებაა), დროებით „ასკოლიში“ თამაშობს. ამასთანავე ევროპაში გადმოსვლა მოინდომა მესამე მამა 20 წლის რუსულ მარადონაძეს, რომელსაც გულშემატკივრები „ლალს“ უძახიან. იგი შუა ხანის მოთამაშეა. შენაჩერება ანტონიო კალენდო, რომელიც არაგვინელ ფეხბურთელებსა და იტალიურ კლუბებს შორის შუამავლს როლს ასრულებს, ვანაქსაძე,

რომ მარადონა-111 მეორე ლიგა კლუბ „მონტალეში“ (მოლდოვა) ითამაშებს.

თადარიგის პაას ჰჰიია! ქ. შტუტგარტის (გფრ) ბურგომისტრმა მანფრედ რომელმა ყურნალობისტებთან საუბარში განაცხადა, რომ აპირებს თავისი ქალაქის კანდიდატურა წაოაყენოს 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად! ბურგომისტრმა ისიც თქვა, რომ ამავდროულშიაღიის ჩატარება სურთ გფრ-ის სხვა ქალაქებსაც: მაინის ფრანკფურტს, ჰამბურგს და გელზენჰორსტს.

სატურატი სსსრ კავშირის XXVI ჩემპიონატი ხელბურთელ ვაჟთა შორის. ასტრახანში თბილისის „ბურევესტნიკი“ შეხვდა მაის სტუდენტებს. ეს იყო თანაბარ ძალთა გუნდების ორთაბრძოლა. მეტოქეები კვალში ჩაუდგნენ ერთმანეთს და ამიტომ ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია უპირატესობას — 11:11.

შესვენების შემდეგ სარბილზე სურათი არ შეცვლილა — გუნდები მონაცვლობით გადიოდნენ წინ. ბოლო წუთზე ანგარიში 18:18 იყო და თითქმის მათ ორი ქულა უნდა გაეყოთ, მაგრამ საფინალო სასტრატეგიამ 3 (1) წმით ადრე მომავალთა ავიანიწინებმა გადამწყვეტი ბურთის გატანა შეძლეს მეტოქის კარში და გაიმარჯვეს — 19:18.

მიმსკლე და კიეველ არმიელთა შეხვედრაში იმარჯვდა ბელორუსიის წარმომადგენლებმა, ადგილობრივმა „დინამომ“ სძლეს ლენინგრადის „ნეფსს“. ასპარეზობა გრძელდება.

პირველი სენსაციია ოსტარაში. ძალისანთა მსოფლიო ჩემპიონატი პირველი სენსაციაც მოხდა. 82,5 კგ-ში, სადაც ჩვეულებრივად საბჭოთა ან ბულგარელი შტაბისტები იმარჯვებდნენ, ოქროს მედალს უნგრელი ლალსო ბარში დაეპატრონა — 390 კგ.

სატურატი სსსრ კავშირის XXVI ჩემპიონატი ხელბურთელ ვაჟთა შორის. ასტრახანში თბილისის „ბურევესტნიკი“ შეხვდა მაის სტუდენტებს. ეს იყო თანაბარ ძალთა გუნდების ორთაბრძოლა. მეტოქეები კვალში ჩაუდგნენ ერთმანეთს და ამიტომ ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია უპირატესობას — 11:11.

შესვენების შემდეგ სარბილზე სურათი არ შეცვლილა — გუნდები მონაცვლობით გადიოდნენ წინ. ბოლო წუთზე ანგარიში 18:18 იყო და თითქმის მათ ორი ქულა უნდა გაეყოთ, მაგრამ საფინალო სასტრატეგიამ 3 (1) წმით ადრე მომავალთა ავიანიწინებმა გადამწყვეტი ბურთის გატანა შეძლეს მეტოქის კარში და გაიმარჯვეს — 19:18.

მიმსკლე და კიეველ არმიელთა შეხვედრაში იმარჯვდა ბელორუსიის წარმომადგენლებმა, ადგილობრივმა „დინამომ“ სძლეს ლენინგრადის „ნეფსს“. ასპარეზობა გრძელდება.

პირველი სენსაციია ოსტარაში. ძალისანთა მსოფლიო ჩემპიონატი პირველი სენსაციაც მოხდა. 82,5 კგ-ში, სადაც ჩვეულებრივად საბჭოთა ან ბულგარელი შტაბისტები იმარჯვებდნენ, ოქროს მედალს უნგრელი ლალსო ბარში დაეპატრონა — 390 კგ.

ლავენირი“ შეცვალა. შეჯიბრება იტალიის გარდა ავსტრიის, გფრ-ის და ბელგიის გზებზე ტარდება და ამიტომაც მიიღო მან ახალი სახელწოდება.

ბოლომ ძალზე ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი და ამიტომაც მიიღო მან „თანის“ სტატუსი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთავარი პრიზისთვის მოყვარულთა გარდა პროფესიონალი ველოსიპედისტებიც იბრძვიან. შე

